PANEL DISCUSSION | დისკუსიები

Adami TALKS

MEDIA PRIZE FOR CULTURAL DIVERSITY IN EASTERN EUROPE

МЕДИА ПРИЗ ЗА КУЛТУРНОЕ РАЗНООБРАЗИЕ В ВОСТОЧНОЙ ЕВРОПЕ

MEDIENPREIS FÜR KULTURELLE VIELFALT IN OSTEUROPA МЕДІА ПРЕМІЯ ЗА КУЛТУРНЕ РІЗНОМАНІТТЯ У СХІДНІЙ ЄВРОПІ ŞƏRQI AVROPADA MƏDƏNI MÜXTƏLIFLIK ÜZRƏ MEDIA MÜKAFATI მედიის პრიზი კულტურული მრავალფეროვნებისათვის აღმოსავლეთ ევროპაში PREMIUL PENTRU DIVERSITATE CULTURALĂ ÎN EUROPA DE EST ÎN DOMENIUL MEDIA Մեդիա մրցանակ Արևելյան Եվրոպայում մշակութային բազմազանության համար МЕДЫЯ ПРЭМІЯ ЗА ЎНЁСАК У КУЛТУРНУЮ АЗНАСТАЙНАСЦЬ У КРАІНАХ УСХОДНЯЙ ЕЎРОПЫ

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

December 10, 2015, 14.00-16.00 • *10 დეკემბერი, 2015, 14:00–16.00 სთ.*

ADAMI Press conference in Kiev, September 8, 2015
ადამის პრეს კონფერენცია კიევში, 8 სექტემბერი, 2015

ADAMI Press conference in Kiev, September 8, 2015
ადამის პრეს კონფერენცია კიევში, 8 სექტემბერი, 2015

Welcome to ADAMI Talks,

A newly created platform to discuss issues of cultural diversity in the audio-visual media. Today's event is part of our initiative ADAMI Media Prize for Cultural Diversity in Eastern Europe, which aims to support journalists and media professionals in the EU's Eastern Partnership countries in their work related to ethnic minorities, migration and cultural diversity.

Today's discussion will explore the positive role media can play in safeguarding cultural diversity and fostering cultural understanding. We believe this is a key challenge for the media in the age of globalization. Media as tool for promotion of cultural diversity can contribute to the breaking down of cultural barriers, the initiation of cultural dialogue and the empowerment of marginalized groups. However, we are only in the beginning of a long process as fostering cultural diversity in and through the media needs time. But we all can be part of a civil discourse, which favors tolerance and facilitates peaceful co-existence.

We want to express our gratitude to the experts of today's panel, who will bring in their long-term experience in talking about their work and media outlets' strategies on facing issues of cultural diversity. We want to thank the Ivane Javakhishvili Tbilisi State University and the Swiss Cooperation Office South Caucasus for their support - and above all the Federal Foreign Office as main sponsor of the ADAMI Media Prize initiative.

We hope this first edition of ADAMI Talks will provide you with some deep insights into European media approach towards the topic of cultural diversity and that it will inspire us for our work with and within the media.

Stefan Tolz
Programme Director
of the ADAMI Media Prize
შტეფან ტოლცი
პროგრამის დირექტორი,
ადამი მედიის პრიზი

ADAMI Press conference in Tbilisi, September 16, 2015
ადამის პრეს კონფერენცია თბილისში, 16 სექტემბერი, 2015

ADAMI Press conference in Tbilisi, September 16, 2015
ადამის პრეს კონფერენცია თბილისში, 16 სექტემბერი, 2015

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ადამის საუბრებზე

ეს არის ახლად შექმნილი პლატფორმა, რომელიც აუდიო-ვიზუალურ მედიაში კულტურული მრავალფეროვნების საკითხების განხილვას ემსახურება. დღევანდელი ღონისძიება ნაწილია ჩვენი ინიციატივისა _ ადამი მედიის პრიზი კულტურული მრავალფეროვნებისთვის აღმოსავლეთ ევროპაში. ღონისძიების მიზანია ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი ქვეყნების ჟურნალისტებსა და მედიაპროფესიონალებს ხელი შეუწყოს ეთნიკური უმცირესობების, მიგრაციისა და კულტურული მრავალფეროვნების საკითხებზე მუშაობის პროცესში.

დღევანდელი დისკუსია განიხილავს იმ პოზიტიურ როლს, რომლის შესრულებაც შეუძლია მედიას კულტურული მრავალფეროვნების დაცვისა და კულტურათაშორისი ურთიერთგაგების მხარდაჭერის მიმართულებით. ჩვენ გვჯერა, რომ გლობალიზაციის ეპოქაში სწორედ ეს არის მედიის ძირითადი გამოწვევა. მედიას, როგორც კულტურული მრავალფეროვნების ხელშემწყობ მექანიზმს, აქვს შესაძლებლობა დაამსხვრიოს კულტურული ბარიერები, დაიწყოს კულტურათაშორისი დიალოგი და გააძლიეროს მარგინალიზებული ჯგუფები, თუმცა ეს გრძელვადიანი პროცესის მხოლოდ დასაწყისია, ვინაიდან კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობა მედიაში და მედიის საშუალებით დიდ დროს მოითხოვს. მიუხედავად ამისა, ჩვენ ყველას შეგვიძლია გავხდეთ იმ სამოქალაქო დისკურსის ნაწილი, რომელიც ემსახურება ტოლერანტობას და ხელს უწყობს მშვიდობიან თანაარსებობას.

გვინდა მადლიერება გამოვხატოთ დღევანდელ დისკუსიაში მონაწილე ექსპერტების მიმართ, რომლებიც გაგვიზიარებენ თავიანთ მრავალწლიან სამუშაო გამოცდილებას და გაგვაცნობენ მედიასაშუალებების კულტურული მრავალფეროვნების საკითხებზე მუშაობის სტრატეგიას. ასევე, გვსურს მხარდაჭერისთვის მადლობა გადავუხადოთ ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისი სამხრეთ კავკასიაში და ადამი მედიის პრიზის ინიციატივის მთავარ სპონსორს _ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს.

ვიმედოვნებთ, რომ ადამის საუბრების პირველი ნაწილის საშუალებით გაეცნობით კულტურული მრავალფეროვნების საკითხისადმი ევროპული მედიის დამოკიდებულებას და ეს იქნება სტიმული ამ საკითხებზე მედიასთან და მედიაში მუშაობისთვის.

Johannes Grotzky
Chairman of the Advisory Board of the ADAMI Media Prize
იოჰანეს გროცკი
მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე, ადამი მედიის პრიზი



Christian Petry
Chairman of the Board, Forschungsgruppe Modellprojekte e.V.
კრისტიან პეტრი
გამგეობის თავმჯდომარე, აღმოსავლეთ ევროპის კვლევების გერმანული ასოციაცია

Adami Jury session, Kiev , November 2015
ადამის ჟიურის სესია კიევში, ნოემბერი, 2015

About ADAMI

The ADAMI Media Prize for Cultural Diversity in Eastern Europe has been launched this year to attract attention for topics on minorities, migration and cultural diversity in the EU's Eastern Partnership countries (Armenia, Azerbaijan, Belarus, Georgia, Moldova, and Ukraine). Its idea is to build bridges between different media players in the international market and to promote well-crafted works of journalists and filmmakers.

The name ADAMI derives from the Georgian word "adamiani" (man, person) and refers to Adam, the first man on earth. Its name reminds us that we are all humans - no matter whether we belong to a majority or a minority in our societies. ADAMI's mission is to stimulate media executives and journalists to become more active in fostering peaceful coexistence of people of different national, ethnic, religious or cultural backgrounds.

Following the launch of the competition in September in the six participating countries, 97 productions have been registered to take part in the ADAMI Media Prize 2015. In November a jury of international experts selected ten nominees, four of which will receive the ADAMI Media Prize during a festive award ceremony in the Georgian National Library under the patronage of Georgian President Mr. Giorgi Margvelashvili. The event will be broadcasted live by GPB (Georgian Public Broadcaster) and rebroadcasted by several TV stations internationally.

The ADAMI Media Prize is coordinating its activities with various partners who all have extensive experience of issues concerning cultural diversity and the media, among which are the CIVIS Media Foundation for Integration and Cultural Diversity, the European Broadcasting Union (EBU), DW Academy and the German Association for East European Studies (DGO). ADAMI has also established many links with public and private media as with state and non-governmental organizations from the Eastern Partnership countries.

ადამის შესახებ

ადამი მედიის პრიზი კულტურული მრავალფეროვნებისთვის აღმოსავლეთ ევროპაში დაარსდა 2015 წელს. ამ ინიციატივის მიზანია, ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრ ქვეყნებში (სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა, უკრაინა) ყურადღება გაამახვილოს უმცირესობების, მიგრაციისა და კულტურული მრავალფეროვნების საკითხებზე. ადამი მედიის პრიზის მთავარი იდეა არის საერთაშორისო დონეზე მედიააქტორების დაკავშირება და ჟურნალისტებისა და კინორეჟისორების ხელშეწყობა.

სახელწოდება ადამი მომდინარეობს ქართული სიტყვიდან ადამიანი და უკავშირდება, ბიბლიური გადმოცემით, პირველი კაცის სახელს. ეს სახელწოდება გვახსენებს, რომ ყველანი ადამიანები ვართ ჩვენი ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილების მიუხედავად. ადამის მისია არის მედიააღმასრულებლებისა და ჟურნალისტების წაქეზება, რათა მათ გააააქტიურონ მუშაობა განსხვავებული ეროვნების, ეთნიკურობის, რელიგიისა და კულტურის ადამიანების მშვიდობიანი თანაარსებობის ხელშეწყობის მიმართულებით.

სექტემბერში ექვს მონაწილე ქვეყანაში კონკურსის დაწყების შემდეგ 2015 წლის ადამი მედიის პრიზის მისაღებად 97 პროექტი დარეგისტრირდა. ნოემბერში საერთაშორისო ექსპერტებისგან შემდგარმა ჟიურიმ შეარჩია 10 ნომინანტი. მათგან ოთხი საქართველოს პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილის, პატრონაჟით საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამართულ საზეიმო დაჯილდოების ცერემონიალზე მიიღებს ადამი მედიის პრიზს. ღონისძიება საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირდაპირ ეთერში გადაიცემა და გაშუქდება საერთაშორისო მასშტაბით რამდენიმე ტელეკომპანიის მიერ.

ადამი მედიის პრიზი აქტივობებს ათანხმებს პარტნიორებთან, რომლებსაც დიდი გამოცდილება აქვთ კულტურულ მრავალფეროვნებასა და მედიასთან დაკავშირებულ საკითხებში. პარტნიორებს შორის არიან: მედიაფონდი ინტეგრაციისა და კულტურული მრავალფეროვნებისთვის (CIVIS), ევროპის სამაუწყებლო კავშირი (EBU), Deutsche Welle Akademie (გერმანული ტალღა) და აღმოსავლეთ ევროპის კვლევების გერმანული ასოციაცია (DGO). ამასთანავე, ადამმა დაამყარა კავშირები საჯარო და კერძო მედიასაშუალებებთან, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრ ქვეყნებში.

Adami Jury session, Kiev , November 2015
ადამის ჟიურის სესია კიევში, ნოემბერი, 2015

ADAMI TALKS

Public Presentation and Panel Discussion

"Current Challenges to Cultural Diversity in the Media"

Ivane Javakhishvili Tbilisi State University **Dec. 10th, 2015**

PROGRAMME

- **14.00 – 14.15 Introduction and welcome**

Mr. Stefan Tolz
Programme Director, ADAMI Media Prize

Ms. Monika Lenhard
Deputy Head of the Embassy of the Federal Republic of Germany

Prof. Merab Eliashvili
Vice Rector of TSU

- **14.15 – 14.50 Presentations of media experts**

"Diversity as a creative opportunity and a business case for the media"

Mr. Frans Jennekens
Head of the NTR's Diversity Department
Dutch Public Broadcaster, Amsterdam

"Joiz: Television on the way to its digital future"

Mr. Kurt Schaad
Co-founder of JOIZ, Europe's first social media
internet television station, Zurich

- **14.50 – 15.30 Panel discussion with media experts**

Mr. Frans Jennekens

Mr. Kurt Schaad

Mr. Robert Parsons
Chief Foreign Editor of France 24's English Service, Paris
Former head of GPB's Kanal PIK and long-time BBC correspondent

- **15.30 – 15.50 Question and answer session**

- **15.50 – 16.00 Final remarks and conclusions**

Moderators: **Ms. Elene Kvernadze and Mr. Giorgi Lomsadze**

ადამის საუბრები

საჯარო პრეზენტაცია და დისკუსია

„კულტურული მრავალფეროვნების გამოწვევები დღევანდელ მედიაში“

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, **10 დეკემბერი, 2015**

პროგრამა

• 14:00-14:15 გაცნობა და მისალმება

შტეფან ტოლცი
ადამი მედიის პრიზი, პროგრამის დირექტორი

მონიკა ლენჰარდი
საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩის მოადგილე

მერაბ ელიაშვილი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე

• 14:15-14:50 მედიაექსპერტების პრეზენტაციები

"მრავალფეროვნება, როგორც შემოქმედებითი შესაძლებლობა და ბიზნეს-დასაბუთება მედიისთვის“

ფრანს იენეკენსი
ჰოლანდიის საზოგადოებრივი მაუწყებლის მრავალფეროვნების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ამსტერდამი

„Joiz _ ტელევიზიის გზა ციფრული მომავლისკენ“

კურტ შაადი
პირველი ევროპული ინტერნეტტელევიზიის JOIZ თანადამფუძნებელი, ციურიხი

• 14:50-15:30 დისკუსია მედიაექსპერტებთან

ფრანს იენეკენსი

კურტ შაადი

რობერტ პარსონსი
F France 24-ის უცხოეთის ამბების მთავარი რედაქტორი _ ინგლისურენოვანი გამოშვება, პარიზი. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის არხის „PIK“ ყოფილი ხელმძღვანელი და წლების მანძილზე BBC-ის კორესპონდენტი

• 15:30-15:50 კითხვა-პასუხის სესია

• 15:50-16:00 საბოლოო შენიშვნები და დასკვნები

მოდერატორები: **ელენე კვერნაძე, გიორგი ლომსაძე**

Frans Jennekens

For the past seven years, Frans Jennekens has led the Dutch Public Broadcaster's (NTR) Diversity Department. He is also a long-standing chairman of the Intercultural and Diversity Group within the European Broadcasting Union (EBU), an advisor of the Roma task force in South-Eastern Europe, and in 2011 joined the Board of EBU. Since 2004, he has been a board member of the Prix Europa Festival in Berlin. After graduating in educational sciences and mass communication at the Universities of Nijmegen and Amsterdam, Frans spent many years working as a radio and television documentary maker. He later worked as chief editor of a daily TV news programme on the Netherlands 3 channel and subsequently as the chief editor of cultural and informational programmes at NPS. Frans leads workshops and gives presentations on innovation and diversity to the managers and programme-makers of public broadcasters in many European countries. In 2008, he played a part in organizing the International Diversity Show for European Public Television, and he is leading the team organizing the international "Innoversity" show in April 2016. As an independent consultant for UNHCR, he reported on Human Development TV in Bangladesh and trained journalists and managers in editorial and management skills.

ფრანს იენეკენსი

ბოლო შვიდი წლის მანძილზე ფრანს იენეკენსი ხელმძღვანელობს ჰოლანდიის საზოგადოებრივი მაუწყებლის მრავალფეროვნების დეპარტამენტს. წლების მანძილზე ის ასევე იკავებდა ევროპის სამაუწყებლო კავშირის ინტერკულტურული და მრავალფეროვნების ჯგუფის თავმჯდომარის პოსტს, იყო ბოშების სპეციალური ჯგუფის მრჩეველი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში და 2011 წელს გახდა ევროპის სამაუწყებლო კავშირის გამგეობის წევრი. 2004 წლიდან ის გახლავთ ბერლინის Prix Europa ფესტივალის გამგეობის წევრი. დაამთავრა ნეიმეგენისა და ამსტერდამის უნივერსიტეტები საგანმანათლებლო მეცნიერებებისა და მასობრივი კომუნიკაციების განხრით. ის წლების მანძილზე ამზადებდა რადიოგადაცემებსა და სატელევიზიო დოკუმენტურ ფილმებს; მუშაობდა ყოველდღიური ახალი ამბების პროგრამის მთავარ რედაქტორად ტელევიზიაში „Netherlands 3", იყო ჰოლანდიის საზოგადოებრივი მაუწყებლის კულტურული და საინფორმაციო პროგრამების რედაქტორი. ფრანს იენეკენსი სხვადასხვა ევროპულ ქვეყანაში საზოგადოებრივი მაუწყებლების მენეჯერებსა და პროდიუსერებს ხშირად უტარებს სამუშაო შეხვედრებსა და პრეზენტაციებს ინოვაციებისა და მრავალფეროვნების შესახებ. 2008 წელს მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ევროპული საზოგადოებრივი ტელევიზიებისთვის საერთაშორისო მრავალფეროვნების შოუს ორგანიზებაში და ამჟამად ხელმძღვანელობს გუნდს, რომელიც ამზადებს „საერთაშორისო ინოვაციისა და მრავალფეროვნების შოუს" 2016 წლის აპრილისთვის. ის მუშაობდა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის დამოუკიდებელ კონსულტანტად ბანგლადეშის Human Development TV-ზე და ტრენინგებს უტარებდა ჟურნალისტებსა და მენეჯერებს სარედაქციო და მენეჯმენტის უნარებში.

Robert Parsons

Robert Parsons is currently the Chief Foreign Editor of France 24 TV's English Division; he originally joined the channel as an international affairs editor in 2006. France 24 TV is primarily a news and current affairs channel broadcasting 24/7 in French, English and Arabic. Cultural diversity lies at the heart of its output: its staff is drawn from all over the world, and its coverage frequently highlights areas that other global channels neglect. The station's main programmes include "Eye on Africa", "Europe Now", "The 51 Per Cent" (about women shaping the world) and "The Observers" (which features photos and videos from local people around the world).

Before joining France 24, Robert spent eighteen years (1993-2002) at the BBC, including nine years as a TV and radio correspondent in Moscow. He then joined Radio Free Europe as the director of their Georgian-language radio service in 2003 before leaving for France 24 TV in 2006.

In 2010, Robert spent 20 months in Georgia, where he had been commissioned to set up "PIK TV", a 24-hour TV and internet news channel broadcasting in Russian throughout the Russian-speaking world. He has recently worked in Northern Iraq as a consultant on the launch of a new international TV channel called Kurdistan 24, which aims to broadcast in both the main dialects of Kurdish, in English and Arabic.

რობერტ პარსონსი

ამჟამად France 24-ის უცხოეთის ამბების ინგლისურენოვანი გამოშვების მთავარი რედაქტორია. ამ არხს შეუერთდა 2006 წელს საერთაშორისო ამბების რედაქტორის პოზიციაზე. France 24 მაუწყებლობს ყოველდღე 24 საათის განმავლობაში, აშუქებს ახალ ამბებს და გვთავაზობს მიმდინარე ამბების ანალიზს ფრანგულ, ინგლისურ და არაბულ ენებზე. კულტურული მრავალფეროვნება არხის მიერ შექმნილი ყოველი პროდუქტის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, თანამშრომლები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები არიან და მისი გამოშვებები ხშირად ისეთ საკითხებს ეხება, რომლითაც სხვა ტელეარხები არ ინტერესდებიან. არხის ძირითადი პროგრამებია: „დაკვირვება აფრიკაზე" „ევროპა დღეს", „51 პროცენტი" (ქალების როლზე მსოფლიოს ჩამოყალიბებაში) და „დამკვირვებლები" (მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ადგილობრივების ყოფის ამსახველი ფოტო და ვიდეომასალა). რობერტი 18 წლის მანძილზე (1993-2002) მუშაობდა BBC-ზე, მათ შორის – 9 წლის მანძილზე მოსკოვის ტელე-რადიო კორესპონდენტად.

მან 2003 წელს დაიკავა ქართულენოვანი რადიოგამოშვების დირექტორის პოსტი რადიო თავისუფლებაში. 2010 წლიდან 20 თვე დაყო საქართველოში, სადაც ხელმძღვანელობდა ტელეარხ PIK-ის შექმნას. ეს გახლდათ ტელე და ინტერნეტ ახალი ამბების რუსულენოვანი ტელევიზია, რომელიც 24 საათის მანძილზე მაუწყებლობდა.

ბოლო ხანებში მან იმუშავა ჩრდილოეთ ერაყში ახალი საერთაშორისო ტელეარხის Kurdistan 24 მაუწყებლობაში ჩაშვებაზე. არხის მიზანია ორივე ქურთულ დიალექტზე, ინგლისურად და არაბულად მაუწყებლობა.

Kurt Schaad

Kurt Schaad is one of the founders of Joiz, Europe's first social media internet television station, launched in 2010, and chaired its board of directors from 2010 to 2015.

Joiz brings together television, social media and mobile platforms in a way that truly reflects how young people live today. The station also emphasizes its multicultural philosophy by working with a team of moderators and journalists from various ethnic and religious backgrounds.

Before co-founding Joiz, Kurt spent 38 years working for Swiss National Television as a producer, presenter and executive producer of news and current affairs. He was awarded several times for his journalistic work in Switzerland, won a Gemini Award in Canada, and was twice nominated for an Emmy Award in the United States. He lives in Zurich, Switzerland.

კურტ შაადი

კურტ შაადი არის ევროპაში პირველი ინტერნეტ-ტელევიზიის „JOIZ“ ერთ-ერთი დამფუძნებელი. აღნიშნულმა ტელევიზიამ მაუწყებლობა დაიწყო 2010 წელს. 2010-2015 წლებში კურტ შაადი გამგეობის თავმჯდომარე იყო.

„JOIZ“ აერთიანებს სატელევიზიო, სოციალური მედიისა და მობილურ პლატფორმებს, რათა აღწეროს თანამედროვე ახალგაზრდების ცხოვრება. სხვადასხვა რელიგიისა და ეთნიკური წარმომავლობის მოდერატორებისა და ჟურნალისტების დასაქმებით „JOIZ“ ხაზს უსვამს თავის მულტიკულტურულ ფილოსოფიას.

აღნიშნულ პროექტამდე ის 38 წლის მანძილზე მუშაობდა შვეიცარიის ეროვნულ ტელევიზიაში ახალი და მიმდინარე ამბების ანალიზის პროდიუსერად, წამყვანად და აღმასრულებელ პროდიუსერად. თავისი ჟურნალისტური საქმიანობის გამო რამდენჯერმე მიიღო Gemini Award კანადაში, ორჯერ იყო ნომინირებული Emmy Award-ზე აშშ-ში. ამჟამად ცხოვრობს შვეიცარიაში, ციურიხში.

MODERATORS / მოდერატორები

Elene Kvernadze

Elene Kvernadze is a Program Officer at the United Nations Association of Georgia, an NGO that has done extensive work in the area of national integration, tolerance and cultural diversity in both Georgia and the South Caucasus since 1995. Her educational background is in International politics and psychology. Elene also regularly conducts trainings and seminars on a range of topics such as gender equality, domestic violence, democracy and citizenship for youth across Georgia and the South Caucasus. She is a recipient of the annual Media Development Fund "Women for Change" award in 2015 for her efforts to raise awareness and promote tolerance and gender equality in her community.

ელენე კვერნაძე

ელენე კვერნაძე გახლავთ არასამთავრობო ორგანიზაციის – საქართველოს გაეროს ორგანიზაცია – პროგრამის ოფიცერი. ორგანიზაცია მოქმედებს 1995 წლიდან და მუშაობს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: ეროვნული ინტეგრაცია, ტოლერანტობა და კულტურული მრავალფეროვნება საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში. ელენემ განათლება მიიღო საერთაშორისო პოლიტიკისა და ფსიქოლოგიის განხრით. ამასთანავე, ის საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში ახალგაზრდებისთვის რეგულარულად ატარებს ტრენინგებსა და სემინარებს სხვადასხვა საკითხზე, მათ შორის: გენდერულ თანასწორობაზე, ოჯახში ძალადობაზე, დემოკრატიასა და მოქალაქეობაზე. 2015 წელს მიიღო მედიის განვითარების ფონდის ყოველწლიური ჯილდო „ქალები ცვლილებებისთვის" საზოგადოებაში ტოლერანტობისა და გენდერული თანასწორობის მხარდაჭერისა და ამ საკითხების ირგვლივ ცნობიერების ამაღლების კუთხით გაწეული ძალისხმევისთვის.

Giorgi Lomsadze

Giorgi Lomsadze has spent eight years covering the South Caucasus and Ukraine for Eurasianet.org, and has worked as a stringer in the South Caucasus for the Wall Street Journal Europe's online edition. His professional experience includes working as a reporter writing about politics, business and development issues for the London-based Caucasus Reporting Service of the Institute for War and Peace Reporting (IWPR). Giorgi has also been teaching "International Media and Internet Media" at the Political and Social Science Department of Tbilisi State University.

გიორგი ლომსაძე

გიორგი ლომსაძე 8 წელია EurasiaNet.org--ის რეპორტიორად მუშაობს, აშუქებს ახალ ამბებს სამხრეთ კავკასიიდან და უკრაინიდან. იგი, ასევე, გახლავთ Wall Street Journal-ის ევროპული ონლაინგამოცემის შტატგარეშე თანამშრომელი და აშუქებს სამხრეთ კავკასიასთან დაკავშირებულ საკითხებს. ის წერს პოლიტიკაზე, ბიზნესსა და განვითარების საკითხებზე ლონდონში მოქმედი ორგანიზაციის „ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტი" (IWPR) კავკასიის გაშუქების ბიუროსთვის. გიორგი კითხულობს სალექციო კურსს „საერთაშორისო მედია და ინტერნეტმედია" თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტზე.

Funded by Federal Foreign Office
პროექტი დაფინანსებულია ფედერალური
საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ

Federal Foreign Office

Adami Media Prize for Cultural Diversity in Eastern Europe
ადამი მედიის პრიზი კულტურული მრავალფეროვნებისათვის აღმოსავლეთ ევროპაში

c/o Swiss Cooperation Office
შვეიცარიის განვითარების ოფისი სამხრეთ კავკასიაში

12 Radiani st.Tbilisi, 0179 / Georgia
რადიანის ქ. 12, 0179, თბილისი / საქართველო

Contact | საკონტაქტი ინფორმაცია
Tel: +995 32 222 57 59
Email: competition@adamimediaprize.eu
www.adamimediaprize.eu
www.facebook.com/adamimediaprize
www.vk.com/adamimediaprize

Event Coordinators / **ღონისძიების კოორდინატორები**
Emilia Malys-Zaremba / Maria Smolarek
ემილია მალის-ზარემბა / მარია სმოლარეკი

December 2015 • დეკემბერი 2015

An initiative of Forschungsgruppe Modellprojekte e.V. – Babostr.3 – 69469 Weinheim - Germany
Forschungsgruppe Modellprojekte e.V.-ის ინიციატივა – ბაბოს ქ. 3 – 69469 – ვაინჰაიმი, გერმანია